ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №5

ქ. თბილისი 2012 წლის 6 სექტემბერი

სხდომას ესწრებოდა წარმომადგენლობითი საბჭოს 25 წევრი: 1. გაგნიძე ინეზა 2. თოდუა ნუგზარი 3. მესხორაძე გიორგი 4. ჩაბაკაური გიორგი 5. გეგეჭკორი არნოლდი 6. ომანაძე როლანდი 7. გუბაძე ვასილი 8. ჭლიკაძე გივი 9. ბენდელიანი ბექა 10. პაპაშვილი თამარი 11. ჭალიძე ივერი 12. მარგველიშვილი ვლადიმერი 13. თურქიაშვილი შორენა 14. მაცაბერიძე მალხაზი 15. შამილიშვილი მანანა 16. წერეთელი მარი 17. ნახუცრიშვილი კონსტანტინე 18. ჩოხელი ლევანი 19. გელოვანი ნანი 20. ლიჩელი ვახტანგი 21. ლორია კახაბერი 22. ახლოური ბექა 23. ზივზივაძე ვახტანგი 24. ჯღამაძე უჩა 25. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ მიერ დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის სასადილოს მოწყობის მიზნით ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით, 5 წლის ვადით გადაცემის საკითხი.

2. „ა(ა)იპ ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემის, მოძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და გასხვისების წესის“ დამტკიცება.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო უნივერსიტეტის ქონების იჯარით გაცემის საკითხი და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული ქონების ნაწილი თსუ–ს უკვე გადმოეცა საკუთრებაში. დანარჩენი ქონების გადმოცემა უახლოეს მომავალში იგეგმება. უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შემდგომში „შპს“) დაფუძნების შესახებ, რომლის მიზანი თსუ–ს ტერიტორიაზე საკვები პუნქტების მოწყობა იქნება, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი ფართი.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ საუბარია უნივერსიტეტის

საკუთრებაში არსებული შემდეგი ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით გაცემაზე: 1. ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირ №1–3–ში არსებული სასადილოს ორსართულიანი, 1060,56 კვადრატული მეტრი ფართის მქონე კაპიტალური შენობა; 2. ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №2–ში არსებული უნივერსიტეტის მაღლივი (მე–10) კორპუსის, 664 კვადრატული მეტრი ფართის მქონე სასადილო.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ზურაბ გაიპარაშვილმა განაცხადა, რომ ნამდვილად დროული და აუცილებელი წამოწყება გახლავთ კვების ობიექტების მოწყობა და დაინტერესდა, იგეგმება თუ არა თსუ–ს პირველ კორპუსში კაფის გაკეთება. ამასთან დაკავშირებით ბატონმა არჩილ კუკულავამ აღნიშნა, რომ შპს გაუწევს ორგანიზებას საკვები პროდუქტების დამზადებასა და მიწოდებას, რაც არ ზღუდავს მას, მოაწყოს კაფეც.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ბატონი არნოლ გეგეჭკორი დაინტერესდა, აპირებს თუ არა უნივერსიტეტი წიგნის მაღაზიის გაკეთებას, რაზეც ბატონმა დავით ჩომახიძემ განაცხადა, რომ ხსენებულ შპს–ს ექნება ორი მთავარი მიზანი – საკვები პუნქტების ორგანიზება და წიგნების გავრცელება, შესაბამისად, ეს პრობლემაც უახლოეს მომავალში გადაწყდება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 25

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა ა) ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირ №1–3–ში არსებული სასადილოს ორსართულიანი, 1060,56 კვადრატული მეტრი ფართის მქონე კაპიტალური შენობისა და ბ) ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №2–ში არსებული უნივერსიტეტის მაღლივი (მე–10) კორპუსის, 664 კვადრატული მეტრი ფართის მქონე სასადილოს თსუ–ს მიერ დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობისათვის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით, 5 წლის ვადით, კვების ობიექტის მოწყობის მიზნით გაცემაზე.

2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ წარმოადგინა „ა(ა)იპ ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემის, მოძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და გასხვისების წესი“ და აღნიშნა, რომ ამ წესით ხდება აქამდე არსებული წესებისა და პრაქტიკის სისტემატიზება ერთიან დოკუმენტში.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ წარმომადგენლობით საბჭოს

ეხება მხოლოდ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხები, თუმცა, ვინაიდან უმჯობესია უნივერსიტეტის ქონების დროებით გაცემასთან დაკავშირებით ერთიანი წესი არსებობდეს, წარმოდგენილ დოკუმენტში, ასევე, მოცემულია მოძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და გასხვისების წესიც.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 25

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „ა(ა)იპ ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემის, მოძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და გასხვისების წესი“. (დანართი 2)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კ. ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს

აპარატის უფროსი: დ. გეგენავა

დანართი 1

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2012 წლის 6 სექტემბერი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გაგნიძე ინეზა
- თოდუა ხუგუნა
- მექვაბიშვილი ელგუჯა

სტუდენტები:

- კარტოზია გიორგი
- მესხორაძე გიორგი
- ჩაბაკაური გიორგი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გეგეჭკორი არნოლდი
- ელიავა ელიაშვილი
- თუთბერიძე ბეჟანი
- ოძანაძე როლანდი
- ხახიძე ძანანა

- კერესელიძე დავითი

სტუდენტები:

- გუბაძე ვახილი
- ჭლიკაძე გივი

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- კახიანი გიორგი
- კვერენჩხილაძე გიორგი

სტუდენტები:

- ბენდელიანი ბექა
- პაპაშვილი თამარი
- ჭალიძე ოკუნი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გალდავა გიორგი
- მარგველაშვილი ვლადიმერი
- ფალავა ზურაბი

სტუდენტები:

- ცინცაძე ნინი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- თურქიაშვილი შორენა
- მაცაბერიძე მალხაზი
- შამილიშვილი მანანა
- წერეთელი მარი

სტუდენტები:

- ნახუცრიშვილი კონსტანტინე
- ჩიხელი ლევანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები

- ბარამიძე ცირა
- ბახტაძე მიხეილი
- ბრაჭული ირაკლი
- გელოვანი ნანი
- ლიჩელი ვახტანგი
- ლორია კახაბერი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ახლოური ბექა
- ზიკზიკაძე ვახტანგი

- ჯლამაძე ეკა

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიგზავნაშვილი ზურაბი

ა(ა)იპ ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემის, მოძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და გასხვისების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ა(ა)იპ ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ (ტექსტში შემდგომ - ,,უნივერსიტეტი“) უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემის, მოძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და გასხვისების წესი შემუშავებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის N208/ნ ბრძანებით დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

2. უნივერსიტეტიის უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემის, მოძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და გასხვისების წესი არეგულირებს უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემის წესსა და პროცედურებს, მოძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემის ან გასხვისების წესსა და პროცედურებს.

მუხლი 2. უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გრძელვადიანი (45 კალენდარულ დღეზე მეტი) გაცემა

1. საკითხი უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სასყიდლიან ან უსასყიდლო სარგებლობაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ფორმით გაცემის შესახებ განიხილება შესაბამისი უძრავი ქონების გაცემის წერილობითი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ (შემდგომში - ,,კომისია“).

2. კომისიის მიერ განხორციელებული განხილვის შედეგად პირველადი დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში განისაზღვრება უძრავი ქონების გაცემის ფორმა (სასყიდლიანი/უსასყიდლო), პირობები (პირობებით გაცემის გადაწყვეტილების მიღებისას), დანიშნულება, ვადები და სარგებლობის ფორმა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის დასრულების შემდგომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დროებით სარგებლობაში გასაცემი ქონების საწყისი ღირებულების დადგენას დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის საფუძველზე.

4. კომისიის მიერ მიღებული პირველადი გადაწყვეტილება (უძრავი ქონების სარგებლობაში გასაცემი ფასის მითითებით) გადაეცემა უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

5. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საკითხი წერილობითი თანხმობის მიღების მიზნით განსახილველად გადაეცემა ა(ა)იპ უმაღლესი საგანმანათლებ-ლო დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებით ზედამხედველობითი უფლებამოსილებების განმახორციელებელი კოლეგიურ ორგანო - რეგენტთა საბჭოს (შემდგომში - ,,რეგენტთა საბჭო“).

6. რეგენტთა საბჭოს თანხმობის მიღების შემდგომ შესაბამისი უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემა ხორციელდება უნივერსიტეტის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე ელექტრონული აუქციონის მეშვეობით. ელექტრონული აუქციონის ჩატარების მიზანია სარგებლობის უფლება მიენიჭოს ელექტრონულ აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც ელექტრონული ვაჭრობის პროცესში უნივერსიტეტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს, ხოლო თუ ელექტრონული აუქციონი გამოცხადდა პირობებით – სარგებლობის უფლება მიანიჭოს ელექტრონულ აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც აიღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები და ვაჭრობის პროცესში უნივერსიტეტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში მიმღები შესაძლებელია იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი.

7. უნივერსიტეტი უძრავი ქონების სარგებლობაში გაცემის - ელ. აუქციონის პროცედურას ახორციელებს ვებ-გვერდის www.eauction.ge მეშვეობით. მოცემულ ვებ-გვერდზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს - სარგებლობაში გადამცემი დაწესებულების დასახელებას, სარგებლობაში გადასაცემი ქონების დასახელებას, აუქციონის დაწყების და დასრულების დროს, რომელიც არ უნდა იყოს 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები, სარგებლობაში გადასაცემი ქონების საწყის სარგებლობის საფასურს, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობას (უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 7

კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს აუქციონის დასრულების ვადას), აუქციონის ჩატარების პირობებს, სარგებლობაში გადაცემის პირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ბიჯის სიდიდეს, სარგებლობაში გადამცემის საკონტაქტო ტელეფონს, სარგებლობაში გადაცემის ვადას, ყველა სხვა ინფორმაციას, რომელსაც სარგებლობაში გადამცემი ორგანო ჩათვლის მიზანშეწონილად.

8. ელექტრონული აუქციონი ვებ-გვერდ www.eauction.ge-ზე ტარდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. აუციონის შესაბამის გამარჯვებულთან უნივერსიტეტი საქართველოს კანონმდებლობისა და აუქციონის პირობების საფუძველზე დებს ხელშეკრულებას უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ აუქციონის დასრულებიდან 5 დღის ვადაში.

9. იმ შემთხვევაში თუ უძრავი ქონების გაცემის ვალდებულებას ითვალისწინებს უნივერსიტეტის სახელშეკრულებო, სამემორანდუმო და სხვა ამ სახის ვალდებულების შემცველი დოკუმენტი, უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემა შესაძლებელია განხორციელდეს ასეთი დოკუმენტის, წინამდებარე წესისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ელექტრონული აუქციონის პროცედურების განხორციელების გარეშე, სასყიდლით ან უსასყიდლოდ.

მუხლი 3. უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში მოკლევადიანი გაცემა

1. უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მოკლევადიან (არაუმეტეს 45 კალენდარული დღისა) დროებით სარგებლობაში სასყიდლიანი ან უსასყიდლო გაცემა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ფორმით შესაძლებელია იმ შემთხვევებში, როდესაც ქონების გადაცემა ხდება სახელმწიფო ორგანიზაციებისა ან/და იურიდიული პირების, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის ერთჯერადად, გამოცდების, ტესტირებების და სხვა სახის საგამოცდო ხასიათის ღონისძიებების, ერთჯერადი ან მოკლევადიანი სპორტული თამაშების, კულტურულ-სანახაობითი, სამეცნიერო-პოპულარული, სამეცნიერო-კვლევითი, საგანმანათლებლო-სამეცნიერო და სხვა ამ სახის ღონისძიებების გამართვისას (მათ შორის საათობრივი წესით) და სხვა ანალოგიური შემთხვევებისას.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ შემთხვევებზე, უძრავი ქონება დროებით სარგებლობაში გაიცემა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ, შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, მხოლოდ იმ ქონებაზე, რომელიც შეტანილია იმ ქონების ნუსხაში, რომელზეც ვრცელდება სარგებლობაში გაცემის განსხვავებული რეჟიმი.

3. სარგებლობაში გაცემის განსხვავებული რეჟიმის მქონე უძრავი ქონების ნუსხა დგინდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ (ნუსხაში შეიტანება უნივერსიტეტის ის უძრავი ქონება, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ამ მუხლის პირველ პუნქტში მოცემული საქმიანობისათვის), მტკიცდება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ და თანხმდება რეგენტთა საბჭოსთან. ამ ნუსხის დამტკიცებითა და შეთანხმებით უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო და რეგენტთა საბჭო აფიქსირებენ თავის პოზიციას ამ მუხლის საფუძველზე უძრავი ქონების გაცემის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე მათი წერილობითი გადაწყვეტილებისა და თანხმობის არსებობის შესახებ.

4. საკითხი უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული სარგებლობაში გაცემის განსხვავებული რეჟიმის მქონე უძრავი ქონების დროებით სასყიდლიან ან უსასყიდლო სარგებლობაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ფორმით გაცემის შესახებ განიხილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ და უძრავი ქონების გაცემა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე (სასყიდლით გაცემის შემთხვევაში, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ განსაზღვრული ღირებულების გათვალისწინებით). სარგებლობაში გაცემის განსხვავებული რეჟიმის მქონე უძრავი ქონების ნუსხაში შესული ქონების სასყიდლის ოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის საფუძველზე, ყოველწლიურად.

მუხლი 4. უნივერსიტეტის ბაგების სტუდქალაქის საერთო საცხოვრებლით სარგებლობის წესი

1. ბაგების სტუდქალაქის საერთო საცხოვრებელში დროებით ცხოვრების უფლება ენიჭებათ მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტებს და თანამშრომლებს მიუხედავად მოქალაქეობისა (შემდგომში – „მობინადრე") მხოლოდ სასყიდლით.

2. საერთო საცხოვრებელში ცხოვრების უფლება წარმოიშობა უნივერსიტეტსა და მობინადრეს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ადმინისტრაციული აქტით დადგენილი ტარიფის შესაბამისად. ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს მისი

ძალაში შესვლისა და მოქმედების ვადებს, ქონების მიღებისა და უნივერსიტეტისათვის დაბრუნების წესსა და პირობებს, ქირის გადახდის წესსა და პირობებს, დროის განმსაზღვრელ განმარტებებს, მობინადრის მიერ ქონებით სარგებლობის შემთხვევაში მისი ახლო ნათესავების მიერ ამ ქონებით სარგებლობის შესაძლებლობასა და სარგებლობის პირობებს.

3. ბაგების სტუდქალაქის საერთო საცხოვრებლით დროებით სარგებლობის უფლების მოპოვების წესი და სხვა აუცილებელი პირობები (მობინადრისა და უნივერსიტეტის უფლებამოვალეობები და სხვა) დგინდება ცალკე სამართლებრივი აქტით.

4. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ქონებით სარგებლობის წესის დამტკიცებასა და შეთანხმებასთან ერთად უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო და რეგენტთა საბჭო აფიქსირებენ თავის პოზიციას ამ მუხლის საფუძველზე ქონების გაცემის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე მათი წერილობითი გადაწყვეტილებისა და თანხმობის არსებობის შესახებ.

მუხლი 5. მოძრავი ქონების გასხვისების წესი

1. საკითხი უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ფორმით გასხვისების შესახებ განიხილება შესაბამისი მოძრავი ქონების გასხვისების წერილობითი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ (შემდგომში - ,,კომისია“).

2. კომისიის მიერ განხორციელებული განხილვის შედეგად პირველადი დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში განისაზღვრება მოძრავი ქონების გაცემის ფორმა (სასყიდლიანი/უსასყიდლო), პირობები (პირობებით გაცემის გადაწყვეტილების მიღებისას), დანიშნულება.

3. მოძრავი ქონების უსასყიდლოდ გასხვისების (ჩუქება/შეწირულობა) გადაწყვეტილება კომისიის პირველადი დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე მიიღება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ, ბრძანებით (რომლითაც იგი უფლებამოსილია განსაზღვროს დასაჩუქრებულისათვის ქონების დანიშნულება და მისი გამოყენების პირობები) და ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის დასრულების შემდგომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სასყიდლიანი წესით გასასხვისებელი ქონების ღირებულების დადგენას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

5. მოძრავი ქონების სასყიდლით გასხვისების გადაწყვეტილება კომისიის პირველადი დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე (სასყიდლის ოდენობის მითითებით) მიიღება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ.

6. მოძრავი ქონების სასყიდლიანი გასხვისებისათვის გამოიყენება ამ წესის მე-2 მუხლის მე-6 - მე-8 პუნქტებით განსაზღვრული პროცედურები.

მუხლი 6. მოძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემის წესი

1. საკითხი უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ფორმით დროებით სარგებლობაში გაცემის შესახებ განიხილება შესაბამისი მოძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემის წერილობითი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ, ბრძანებით (რომლითაც იგი უფლებამოსილია განსაზღვროს დროებით სარგებლობაში გაცემის ფორმა და პირობები) და ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

2. მოძრავი ქონების დროებით სარგებლობაში სასყიდლით გაცემის დროს უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სასყიდლიანი წესით დროებით სარგებლობაში გასაცემი ქონების ღირებულების დადგენას დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 7. დავების გადაწყვეტის წესი

ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა ამ წესით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.